წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 119252392**

თარიღი:**27/08/2025**

მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების (№85.21.23.427) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები"-ს 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა:***

1. მიეცეს თანხმობა წალკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ილია საბაძეს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 2026 წლის დეკემბრის ჩათვლით, გადასცეს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს" წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (N85.21.23.427) უძრავი ქონება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასასმართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი